ფაკულტეტის დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის #01-05-17/05 ერთობლივი დადგენილებით

2021

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო
ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) **სამშენებლო** ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) მიზნებსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი
1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში
შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ინჟინერიის მიმართულებით.
2. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და დებულებით.
3. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.
4. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: სამშენებლო ფაკულტეტი; ინგლისურად – Faculty of Civil Engineering; რუსულად – Строительный факультет;

მუხლი 3. ფაკულტეტის უფლებამოსილება
1. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით.
2. ფაკულტეტი დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

თავი II.

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები
1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადება;
2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:
ა) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - ბაკალავრებისა და პროფესიული განათლების მქონე პირების - სპეციალისტების მომზადება/გადამზადება;

ბ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.
3. ფაკულტეტი ვალდებულია, საქართველოს სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარე, შექმნას ოპტიმალური პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგებში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.
4.ფაკულტეტი მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო კვლევების განხორციელებაზე, რისთვისაც შესაბამისი წლის დამტკიცებული ბიუჯეტი ითვალისწინებს სათანადო ფინანსურ რესურსებს;

5. ფაკულტეტი ზრუნავს და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა/მობილობას. აგრეთვე, ზრუნავს უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სტუდენტების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.
6. ფაკულტეტი ახალი პროგრამის შემუშავებასა ან/და განვითარებას ახორციელებს დამსაქმებელთა და პროფესიულ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით.

მუხლი 5. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
ა) მეცნიერების შესაბამის დარგებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;
ბ) პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელება;
გ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;
დ) საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა.
ე) უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვის, ასევე, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასემინარო-სატრენინგო საქმიანობა (სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და სხვა პერსონალისთვის).

თავი III.
ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 6. ფაკულტეტის სტრუქტურა
1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის მართვის ორგანოები, სასწავლო (აკადემიური დეპარტამენტი), სამეცნიერო - კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
2. ფაკულტეტზე შექმნილია ფაკულტეტის სათათბირო და მენეჯერის თანამდებობა.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას მზრუნველთა საბჭო. მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4. ფაკულტეტზე იქმნება კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი) და კოლეგიები.
5. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.
6. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).

მუხლი 7. ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1.. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით.
3. ფაკულტეტის არჩევითი მმართველი სუბიექტების - დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებით (შემდგომში– არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3, დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
5. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავისი წევრების უფლებამოსილებას.
6. ახლადარჩეული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში ახლადარჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილების ცნობა ხდება ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე.
7. დეკანის არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მოწვევის უფლება აქვს საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ს ან დეკანის მოადგილეს.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;
ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
ზ) ქმნის ფაკულტეტის ეთიკის მუდმივმოქმედ კომისიას და ამტკიცებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
თ) ახორციელებს ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას;
ი) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, მათ შორის სწავლულ ექსპერტთა დარგობრივ კომისიებს;
კ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს, საბჭოს თავმჯდომარეობს საბჭოს დამსწრე უხუცესი წევრი.
ლ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ღია კენჭისყრით, საბჭოს უხუცესი წევრის თავმჯდომარეობით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
მ) აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული
კვოტის ფარგლებში. შესაბამისი არჩევნები ტარდება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით დადგენილი წესით;
ნ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების ფაკულტეტის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა;
ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
2. დეკანი აირჩევა ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი
შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო
დებულებით.

4. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

5. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), ფაკულტეტის საბჭოს და სათათბიროს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს და მემორანდუმებს ფაკულტეტის სახელით;

კ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს მოადგილე სასწავლო დარგში და **დეკანის თანაშემწე მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში**, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

7. დეკანის მოადგილის და **თანაშემწის** უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

8. სასწავლო და აკადემიურ დარგში დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის სასწავლო ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება.

9. **დეკანის თანაშემწე მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში** უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევითი პროექტების განხორციელების ორგანიზებას.

10. დეკანის არყოფნისას ფაკულტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანის მოადგილე, დეკანის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ოთხი წლის ვადით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) სისტემატურად აფასებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხს;

ბ) ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით;

გ) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;

დ) აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

ე)უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის;

ვ) რეგულარულად (სემესტრში ერთხელ) აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის სათათბიროს და საბჭოს;

ზ) განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებს, მოდულებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს მოვალეობის შემსრულებელს და უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ნიშნავს არჩევნებს.

მუხლი 12. ფაკულტეტის სათათბირო

1.ფაკულტეტის სათათბიროში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), დეკანის მოადგილე, მენეჯერი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის კომისიებიდან წარმომადგენლები, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში ფაკულტეტის კვოტით არჩეული წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის სათათბირო:

ა) ამ დებულების მე-9 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დელეგირებულ ფუნქციებს (კერძოდ: ფინანსური დახმარების, პრემიების განაწილების, სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსების, ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტის სტუდენტების გადაყვანის საკითხებს. იხილავს მონიტორინგის დეპარტამენტის მონაცემებს და სასწავლო პროცესისი მიმდინარეობას. აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას);

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე ამზადებს საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად (განსახილველად);

მუხლი 13. ფაკულტეტის მენეჯერი

1. მენეჯერი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობას, რომლის უფლებამოსილებებიც განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა და დებულებით;

2. ფაკულტეტის მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

3. მენეჯერი:

ა) ახდენს შრომის ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ-ანალიტიკურ კვლევას, რის საფუძველზეც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხას საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ)ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობას;

გ)ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, ადგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიურ გეგმას და პასუხისმგებელია მისი შესრულების მიზნობრიობასა და ეფექტურობაზე;

დ) დეკანთან და სათათბიროსთან ერთად ადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და განსაზღვრისათვის წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ე) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სტაჟირებისა და მათი შემდგომი დასაქმების პროცესს;

ზ) ახორციელებს დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. მენეჯერი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

5. მენეჯერის სამსახურის პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

თავი IV.

ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

მუხლი 14. ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

1. სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.
2. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეული წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
3. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.
4. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:
ა) საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის აკადემიური დეპარტამენტი №101;
ბ) აგული სოხაძის სახელობის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის აკადემიური დეპარტამენტი №102;
გ) სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიების და საშენი მასალების აკადემიური დეპარტამენტი №103;
დ) ჰიდროტექნიკისა და სამოქალაქო ინჟინერიის აკადემიური დეპარტამენტი N104;
ე) **ამოღებულია.**
ვ) მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების აკადემიური დეპარტამენტი №106;
ზ) მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის აკადემიური დეპარტამენტი №107;
თ) სამშენებლო მანქანების აკადემიური დეპარტამენტი №108;
ი) საგზაო აკადემიური დეპარტამენტი №105.
5. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებია:
ა) მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო საგამოცდო ლაბორატორია;
ბ) ჰოდროინჟინერიის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;
გ) ა. გორგიძის სახელობის მექანიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
დ) წყალმომარაგების, წყალარინების და წყლის გაწმენდის ლაბორატორია;
5. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, საკუთარი დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 29 ივნისის #01-06-02/ 29 დადგენილება)

მუხლი 15. აკადემიური დეპარტამენტი და მისი სტატუსი

1. **აკადემიური დეპარტამენტი** (შემდგომში - **დეპარტამენტი**) წარმოადგენს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ან/და მისი კომპონენტების ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.
2. დეპარტამენტის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. სათანადო დასაბუთებით, მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამის საუკეთესო მიზნებისათვის, შესაძლებელია ერთზე მეტი ფაკულტეტის ფარგლებში შეიქმნას

ფაკულტეტთაშორისი დეპარტამენტი.
4. დეპარტამენტის შემადგენლობაში ერთიანდება, როგორც წესი, არანაკლებ ხუთი აკადემიური თანამდებობის პირი, სულ მცირე ერთი პროფესორის სავალდებულო მონაწილეობით.
5. დეპარტამენტის შემადგენლობა კომპლექტდება აკადემიური, მოწვეული, მასწავლებელთა და/ან დამხმარე პერსონალით.
6. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 16. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტი:
ა) უზრუნველყოფს დეპარტამენტისათვის მიკუთვნებული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სასწავლო კურსებში (აკადემიური უმაღლესი და/ან პროფესიული) სასწავლო პროცესის (ლექციები, სემინარები, ლაბორატორიები, პრაქტიკული მეცადინეობები და სხვ.) წარმართვას სილაბუსებისა და განრიგის შესაბამისად;
ბ) კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/სასწავლო კურსების შექმნაში, არსებული პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირებასა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში; ხელს უწყობს პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ის და სხვა წარმმართველი პერსონალის თანამშრომლობას სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, აგრეთვე პროგრამის მდგრადობასა და ინტერნაციონალიზაციას;
გ) ახორციელებს საგანმანათლებლო კომპონენტების მეთოდურ უზრუნველყოფას (სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალ(ებ)ის მომზადება, განხილვა, რეცენზირება, რეკომენდირება);
დ) ახდენს დეპარტამენტის აკადემიური დატვირთვის ფორმირებას და ადმინისტრირებას;
ე) ფაკულტეტის დეკანთან ინიცირებას უკეთებს შესტაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით მოწვევას;
ვ) სასწავლო სემესტრის დაწყებამდე აჯამებს დეპარტამენტის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციას სემესტრის ფარგლებში შესასრულებელი სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მზადყოფნასთან დაკავშირებით, ხოლო სემესტრის ბოლოს განიხილავს ანგარიშს შესრულებული სამუშაოების შესახებ.
ზ) სასწავლო წლის ბოლოს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელების/სილაბუსების ავტორების და დეპარტამენტის პერსონალის სამეცნიერო და სხვა აქტივობების ამსახველ ანგარიშებს;
თ) უზრუნველყოფს სწავლების არსებული მეთოდების ეფექტიანად გამოყენებას, სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, სასწავლო პროცესის სრულყოფას და სწავლების ხარისხის ამაღლებას;
ი) უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართულობას;
კ) უზრუნველყოფს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შესაბამისი სასწავლო და/ან სამეცნიერო თემებით და ხელმძღვანელებით;
ლ) ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ამ მიზნით შეიმუშავებს გეგმებს და ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს; აგრეთვე, აზიარებს პედაგოგების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკას.
მ) პროფილის შესაბამისად ამყარებს საქმიან კავშირებს, თანამშრომლობს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან;
ნ) ეფექტიან კოორდინაციას უწევს სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ატარებს სამეცნიერო-მეთოდურ სემინარებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კერძო შეკვეთის

პირობებში უნივერსიტეტის სახელით იძლევა სპეციალისტის დასკვნებს, როგორც სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, ისე პროექტებზე;
ო) ორგანიზებას უკეთებს სამაგისტრო საკვალიფიკაციო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირებას;
პ) ახორციელებს სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციას და დეკანატში გადაცემას;
ჟ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე არსებული, თვითდაფინანსებაზე მყოფი, სასწავლო/სამეცნიერო/საექსპერტო ცენტრების საქმიანობას და უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშ(ებ)ის წარმოდგენას;
რ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო, უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან თავსებად სხვა უფლებამოსილებებს.
2. დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების, აგრეთვე ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (შვიდწლიანი) და დეპარტამენტის სამოქმედო გეგმების (სამწლიანი და ერთწლიანი) შესაბამისად.
3. დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს:
ა) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების და განვითარებაზე ორიენტირებული სხვა მიმართულებების ამსახველი გეგმები;
ბ) სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაცია;
გ) სხდომების ამსახველი ოქმები;
დ) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია.
4. აქტიურ რეჟიმში შენახვის ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტაცია გადაეცემა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის არქივს არსებული წესით.

მუხლი 17. აკადემიური დეპარტამენტის მართვა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელიც არის ამავე დეპარტამენტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. დეპარტამენტის უფროსი ინიშნება 4 წლის ვადით.

3. დეპარტამენტის უფროსი, აგრეთვე უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირი ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
4. დეპარტამენტის უფროსს, აგრეთვე უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, დეკანის წარდგინებისა და ვიცე-რექტორის თანხმობის საფუძველზე, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
5. დეპარტამენტის უფროსი პირდაპირი დაქვემდებარების წესით ანგარიშვალდებულია რექტორის, ხოლო უშუალო დაქვემდებარებით – ფაკულტეტის დეკანისა და საბჭოს წინაშე.
6. დეპარტამენტის უფროსი იწვევს და წარმართავს დეპარტამენტის სხდომებს. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დეპარტამენტის წევრთა 3/4 მაინც. გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ისეთი საკითხების განხილვა, რომელთა შინაარსი ეხება სხვა დეპარტამენტის ინტერესებს, ხდება დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე. ცალკეულ შემთხვევაში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათათბირო ხმის უფლებით, სხდომაზე შეიძლება მოწვეული იქნეს სხვა დეპარტამენტის, ფაკულტეტის/უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ან/და სხვა დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები. აღნიშნულის შესახებ მიეთითება ოქმში.
7. დეპარტამენტის უფროსი დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს დეპარტამენტში თანამშრომლების სამუშაოზე მიღების (გარდა კონკურსის წესით დასაკავებელი

თანამდებობებისა), გათავისუფლების, წახალისების, აგრეთვე დისციპლინური ზემოქმედების თაობაზე საკითხის წარმოების დაწყების შესახებ.
8. დეპარტამენტის უფროსს პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება დეპარტამენტის საქმიანობაზე. იგი ყოველწლიურ ანგარიშს აბარებს ფაკულტეტ(ებ)ის საბჭო(ებ)ს.
9. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ითვლება პირის შეთავსებით მუშაობად. მისი, როგორც დეპარტამენტის უფროსის სახელფასო ნიხრი განისაზღვრება საშტატო განრიგით.
10. დეპარტამენტის უფროსის გათავისუფლების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) ოთხწლიანი ვადის გასვლა;
გ) აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;
დ) წლიური ანგარიშის უარყოფითი შეფასება;
ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.
11. დეპარტამენტის უფროსის ან უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა ხორციელდება ვაკანსიის წარმოქმნიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 18. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება, ცენტრი და სხვა)

1. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება, ცენტრი და სხვა) ფაკულტეტში შემავალი სტრუქტურული ერთეულია
2. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული საქმიანობას წარმართავს შესაბამისი დებულებით.
3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
4. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (შემდგომში ლაბორატორია) მოიცავს ფაკულტეტზე არსებულ მატერიალურ და ტექნიკურ ბაზებს, სადაც ერთი ან რამოდენიმე მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებით ხორციელდება: სასწავლო ლაბორატორიული, სამეცნიერო, საინოვაციო, საპროექტო, საცდელ-საკონსტრუქტორო, საექსპერტო, დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობა.
5. ლაბორატორია ხელს უწყობს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში ჩართულ, ფაკულტეტის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მის ეფექტურ გამოყენებას, პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას, სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ტექნოპარკების ფუნქციონირებას, ასევე სამეცნიერო ცენტრების საქმიანობას.
6. **ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციებია:**
ა) ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე არსებულ, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ხელსაწყო-დანადგარები და ა.შ.) მოვლა-პატრონობას, მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებასა და შემდგომ სრულყოფა-განახლებას;
ბ) შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტთან ერთად კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებზე;
გ) კოორდინაცია გაუწიოს ლაბორანტებისადმი გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და მისცეს მათ საქმიანობას კვალიფიციური შეფასება;

დ) უზრუნველყოს სასწავლო განრიგით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების შესაბამის დონეზე ჩატარება;
ე) ხელი შეუწყოს ლაბორანტების პროფესიულ სრულყოფას.
7. ლაბორატორიულ პერსონალს მიეკუთვნება ლაბორანტი, რომელიც ექვემდებარებიან ფაკულტეტის ლაბორატორიის უფროსს.
8. ლაბორანტის ფუნქციებია:
ა) სასწავლო განრიგით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება;
ბ) მოამზადოს და ორგანიზება გაუკეთოს სასწავლო ლაბორატორიებში სამუშაო ადგილების მზადყოფნას სასწავლო და სამეცნიერო პროცესის წარმართვისთვის;
გ) დროულად გააკეთოს განაცხადი ლაბორატორიის უფროსის წინაშე ლაბორატორიულ მოწყობილობათა შეკეთების, აგრეთვე ახალი ხელსაწყოების, ქიმიური რეაქტივებისა და სხვა მასალების შეძენის თაობაზე;
დ) იცავდეს საწარმოო სანიტარულ ნორმებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს და საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მათი პრაქტიკული გამოყენება;
ე) ფლობდეს ლაბორატორიულ ტექნიკასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს და სისტემატიურად იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
ვ) ლაბორატორიაში სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.
.

თავი V
ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 19. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მმართველი ორგანოების, ფაკულტეტის საბჭოს, სათათბიროსა და დეკანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეიმუშავებენ შესაბამისი სფეროს განვითარების წინადადებებს და განსახილველად წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს.
2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
ა) სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება;
ბ) ტექნიკური უზრუნველყოფის ცენტრი.
3. ფაკულტეტზე არის სტუდენტური სერვისების ადმინისტრატორის, ბიბლიოთეკარის და არქივარიუსის თანამდებობები.
4. **სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება** უზრუნველყოფს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის სრულყოფილ და ოპერატიულად წარმართვას.
5. განყოფილების ფუნქციებია:
ა) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საჭირო პროცედურების განხორციელება;
ბ) ფაკულტეტის სტუდენტთა ადმინისტრაციული (საფინანსო) და აკადემიური (სასწავლო) ხელშეკრულებების მომზადება;
გ) ფაკულტეტის სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;

დ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა;
ე) სტუდენტთა სტატუსთან და ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ზ) სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით საჭირო სხვა საქმიანობის განხორციელება.

6. **განყოფილების უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:**

ა) ახდენს განყოფილების ამოცანების დასახვას, საქმიანობის ორგანიზებასა და მართვას, ამოცანების შესრულების ზედამხედველობას, პრიორიტეტებისა და ვადების კონტროლს;
ბ) განყოფილების ფუნქციებიდან, კომპეტენციებიდან გამომდინარე პასუხისმგებელია შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაზე და/ან მომზადების კოორდინაციაზე;
გ) ითანხმებს და პასუხისმგებელია განყოფილების მიერ შესრულებულ ფუნქციებზე, პროცედურებზე, ანგარიშებზე, დასკვნებზე და სხვადასხვა სახის აქტებზე;
დ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში, ამზადებს და წარადგენს ინიციატივებს;
ე) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე;
ვ) დეკანის დავალებით ასრულებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

7. ტექნიკური უზრუნველყოფის ცენტრი (შემდგომში ცენტრი):

ა) აწარმოებს ფაკულტეტზე არსებული კომპიუტერული ტექნიკის აღრიცხვას და უზრუნველყოფს მათ გამართულობას;
ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე არსებული კომპიუტერების უნივერსიტეტის ინტერნეტის ქსელში ჩართვას;
გ) მჭიდროდ თანამშრომლობს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან და უზრუნველყოფს მათი თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას;
დ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, აწყობს კურსებს სტუდენტთათვის და ფაკულტეტის თანამშრომელთათვის.

8. ცენტრს გააჩნია კომპიუტერული აუდიტორია, სადაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში სიმულაციური პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების წარმართვა.

9. ცენტრს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ცენტრის გამართულ მუშაობაზე. ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლება ხორციელდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

10. **სტუდენტური სერვისების ადმინისტრატორის ფუნქციებია:**

ა) სტუდენტთათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების განმარტება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
ბ) სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

გ) სტუდენტთა პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება (ტრენინგი, მასტერკლასი, საჯარო ლექცია, ვორქშოპი და სხვა);
დ) სტუდენტთა სტუდენტური სტაჟირების პროგრამაში ჩართვისა და დასაქმების მიზნით პარტნიორ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან ურთიერთობა;
ე) სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სხვა აქტივობებთან დაკავშირებით;
ვ) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.
11. **არქივარიუსი** უზრუნველყოფს ფაკულტეტის არქივის დოკუმენტების შექმნასთან, გაცემასა და შენახვასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.
12. **ბიბლიოთეკარის** ფუნქციაა ფაკულტეტზე არსებული საბიბლიოთეკო რესურსებით ფაკულტეტის სტუდენტთა და პერსონალის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მომსახურების გაწევა.
13. დამხმარე სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).
14. დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
15. დამხმარე სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, საკუთარი დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 20. ფაკულტეტის კომისიები და კოლეგიები
1. ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით იქმნება:
ა) ფაკულტეტის ეთიკის კომისია;
ბ) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია;
გ) ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია;
დ) მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები;
ე) დოქტორანტურის სადისერტაციო კოლეგიები.
2. ფაკულტეტის ეთიკის კომისიას ქმნის ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.
3. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიას ქმნის ფაკულტეტის საბჭო. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებით.
4. ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია იქმნება საფაკულტეტო ბრძანებით, მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - რექტორის ბრძანებით, ხოლო დოქტურანტურის სადისერტაციო კოლეგიები კი - სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

თავი VI
ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 21. პერსონალი

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.
2. ფაკულტეტის პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 22. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან, რომლებიც თანამდებობაზე აირჩევიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც მონაწილეობენ ან/და წარმართავენ
სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
3. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, და მათი უფლება-მოვალეობები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 23. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი, მისი მოადგილე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ადმინისტრციული თანამდებობის პირების, აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 24. დამხმარე პერსონალი

1. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალი.
2. დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგს ადგენს დეკანი, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო განრიგის პროექტში ასახვის მიზნით.
3. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით.
4. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.
5. დამხმარე პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 25. მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებელთა პერსონალი

1. ფაკულტეტი უფლებამოსილია, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

2. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

თავი VII. სტუდენტი

მუხლი 26. ფაკულტეტის სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი, რომელიც სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამებით.

3. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, ასევე უნივერსიტეტის წესდებითა და ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 27. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე, ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე, ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ უნდა ინახებოდეს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 28. სტუდენტური თვითმმართველობა

1. ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაერთიანებულია უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში.

2. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფაკულტეტების მიხედვით არჩეულ სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობას.
3. სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას წარმართავს ზემოაღნიშნული კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და თავისი დებულების მიხედვით.
4. ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VIII. ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 29. ფაკულტეტის შემოსავლები

1. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს ფაკულტეტის მიერ მოზიდული შემოსავლები პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის
აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ის წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
2. ფაკულტეტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით გადაწყვიტოს ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსების განკარგვასთან და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

მუხლი 30. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს დეკანთან შეთანხმებით ადგენს მენეჯერი, რომელსაც განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ფაკულტეტის ბიუჯეტს ჩართავს ერთიან ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად, თუ ფაკულტეტის ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს.
4. ფაკულტეტის ბიუჯეტს, როგორც უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ნაწილს, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი). წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უფლება არა აქვს ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტის ბიუჯეტში.

თავი IX
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 31. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 32. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ფაკულტეტის დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესის ანალოგიურად.

მუხლი 33. დებულების ამოქმედება
დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.